

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა  
ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.  
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 01

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

15 330 (თხუთმეტიათასსამასოცდაათი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი –15 330ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც ღებვა პროგრამა:**

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით უფასო სასაღილოები და ბენეფიციართა ნაწილი მოექცა ბათუმის ტერიტორიულ ერთეულებში, რის გამოც მ/პერიოდისათვის უფასო კვება ხორციელდება მუნიციპალიტეტის 21 ბენეფიციარისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურ, ერთჯერად კვებას.

**8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

| № | პროგრამის მიზნები   | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|--|
| 1 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის უმწეო ოჯახების წევრები, რომლებსაც არ შეუძლიათ კვებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება | პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა     |

**9. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:**

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, 21 ბენეფიციარი.

**10. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

| 2017 წელი |                                |         |           |       |        |       |        |        |         |            |           |          |           |
|-----------|--------------------------------|---------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|
| №         | საქმიანობის აღწერა             | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1         | ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა | X       | X         | X     | X      | X     | X      | X      | X       | X          | X         | X        | X         |

**11. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:**

- 2016 წლიდან გადმოსული ბენეფიციარები;
- საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსული განცხადებები. ახალი ბენეფიციარების შერჩევა მოხდება 0-დან – 65 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, უპირატესობა მიენიჭებათ დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე მარტოხელა და მრავალსულიან ოჯახებს.

## 12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

| № | წყაროს დასახელება |                                     | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | სულ    |
|---|-------------------|-------------------------------------|-----------|-----------|-----------|--------|
|   | ძირითადი          | ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | 15 330    |           |           | 15 330 |
|   | სულ               |                                     |           |           |           | 15 330 |

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| № | პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება         | ერთეულის დასახელება | ბენეფიციართა რაოდენობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | დღეთა რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|---|---|---------------------|---|-----------------|----------------------|------------------------------|
| 1 | უფასო სასადილოს ფუნქციონირება 2017 წლის იანვარი-დეკემბერი | ბენეფიციარი         | 21  | 365             | 2                    | 15 330                       |

2 საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა | შესყიდვის განხორციელების ვადები | შესყიდვის განხორციელების ვადების ფორმა | შესყიდვის დაგეგმილი თანხა | შენიშვნა |
|---|---|---------------------------------|--|---------------------------|----------|
| 1 | 21 ბენეფიციარის უფასო კვება                   | 2016 წლის-დეკემბერი             | გამარტივებული ელექტრონული ტენდერი      | 15330                     |          |

## დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემა სქემა:

შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. დაფინანსება განხორციელდება გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. შესრულებული სამუშაოს მოცულობით.

პროგრამის “მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.

უფასო კვებით სარგებლობის პერიოდში სარეიტინგო ქულის დროებით შეჩერება, ან 100 000-მდე გაზრდა არ წარმოადგენს უფასო სასადილოთი სარგებლობის უფლების აკრძალვის მიზეზს იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ტერიტორიაზე გამგებლის წარმომადგენლის მიერ წერილობით წარმოდგენილია ბენეფიციარისათვის უფასო კვების განსაკუთრებული საჭიროება. ახალი ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვა განხორციელდება განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. პირადობის მოწმობა ასლი დედანთან ერთად;
3. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ცნობა.